



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“

2017 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტმა საბოლოოდ მიიღო და დაამტკიცა კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 2 ივნისს. კანონი არეგულირებს კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ განთავსებული დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევას და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. შესაბამისად, კანონის მიზანია - უზრუნველყოს დეპოზიტების დაცულობა ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით თუ კომერციულ ბანკს ექმნება დეპოზიტების ანაზღაურების პრობლემა.



კანონი დამატებით განსაზღვრავს საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს სამართლებრივი ფორმის, მართვის, უფლებამოსილებისა და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ადმინისტრირების სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გარკვეული ცვლილებები შევიდა ქვემოთ ჩამოთვლილ კანონებში:

- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონი

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი



მნიშვნელოვანი ცვლილება კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით 2017 წლის 22 ივნისიდან საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის ძალაში შესვლამდე, შეჩერდა კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადასვლის საკითხს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #93/04

2017 წლის 22 ივნისს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება და დადგინა ის შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მე-2¹ პუნქტით გათვალისწინებული ფასის მხოლოდ ლარით გამოხატვასთან დაკავშირებული მოთხოვნები. ბრძანების შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია:

1. ავიაბილეთების რეალიზაციასთან, სასტუმროს და ტურისტულ მომსახურებასთან, თუ აღნიშნული ხორციელდება უცხოურ ენაზე, ასევე აზარტულ თამაშობებთან.
2. ტვირთების საერთაშორისო, მათ შორის: საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო გადაზიდვებთან, ასევე, ყველა სახის სარკინიგზო გადაზიდვებთან. ეს პუნქტი ასევე ვრცელდება აღნიშნული სახის გადაზიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებებზე.
3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებსა და აეროპორტის გაფრენის ზონებში ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევასთან.
4. როუმინგის მომსახურებასთან.
5. უცხოეთში გადაზღვევის მომსახურებასთან.
6. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებულ მომსახურებასთან.

7. ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და წყალმომარაგების იმპორტთან, ექსპორტთან/რეექსპორტთან და/ან ტრანზიტთან.
8. არარეზიდენტის მიერ (მათ შორის, მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით) ან არარეზიდენტისათვის მომსახურების გაწევასთან ან/და სამუშაოს შესრულებასთან ან/და საქონლის მიწოდებასთან.
9. ენერჯეტიკის დარგში საერთაშორისო და/ან უცხო ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტების და/ან ინვესტორის დაფინანსებით (მათ შორის ნაწილობრივი დაფინანსებით) განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების გაწევასთან და/ან სამუშაოების (მათ შორის, სამშენებლო სამუშაოების) შესრულებასთან.
10. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ენერჯეტიკის დარგში განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში საქონლის რეალიზაციასთან და/ან მომსახურების გაწევასთან.
11. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების/შეთანხმებების და მემორანდუმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებასთან, ასევე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებთან.
12. უცხოური საგადახდო სისტემის გამოყენებით უცხოური ვალუტით განხორციელებულ მომსახურებასთან.
13. მიმოქცევად ფასიან ქაღალდთან, რომელიც ადასტურებს წილობრივ მონაწილეობას უცხოურ კომპანიაში, ან მის ეკვივალენტთან; მიმოქცევად სასესხო ინსტრუმენტთან/ვალდებულებასთან; სხვა მიმოქცევად ფასიან ქაღალდთან, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების შექმნის უფლებას მასზე ხელმოწერის, მისი ყიდვის ან მისი გაცვლის გზით, ან რომლის შესრულება ხდება შეთანხმებულ და მიმდინარე ფასთა შორის სხვაობის დაფარვით, ან რომელიც ითვალისწინებს ფულად ანგარიშსწორებას, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებულ უფლებასთან; ფულის ან სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტებთან; ანგარიშზე რიცხულ ძვირფას ლითონებთან; ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან, უფლებებთან ან ინსტრუმენტებზე ან მათთან დაკავშირებულ უფლებებთან.

ბრძანება ძალაში შევიდა და ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან.

კანონპროექტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ივნისის თვეში ინიცირებულ კანონპროექტს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, კერძოდ:

- უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებლების, დასაქმებულების, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის გაუმჯობესება;
- უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემცირება და პრევენცია.

კანონპროექტის არსს წარმოადგენს შრომის ბაზარზე არსებული საწარმოებისთვის შრომის უსაფრთხოების კუთხით ოპერირების ერთიანი სტანდარტის განსაზღვრა, დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობების გამიჯვნა და დაზუსტება.

კანონპროექტის მოქმედება გავრცელდება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, რომელთა ჩამონათვალს კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

შესაძლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

პარლამენტი განიხილავს სამოქალაქო კოდექსის ცვლილებების პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სწრაფი და მოქნილი მექანიზმის შემოღებას, რომლის საშუალებითაც ლიზინგის გამცემი სალიზინგო ურთიერთობაში დავის წარმოშობის შემთხვევაში შეძლებს ლიზინგის საგნის - „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალების ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების - მფლობელობაში დაბრუნებას სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე.



ცვლილებების თანახმად, ლიზინგის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც ლიზინგის გამცემს უფლება აქვს სააღსრულებო დაწესებულებაში ლიზინგის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მოითხოვოს ზემოაღნიშნული ლიზინგის საგნის იძულების წესით მის მფლობელობაში დაბრუნება.

შესაძლო ცვლილებები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სასაქონლო ნიშნების“ საქართველოს კანონში

პარლამენტი განიხილავს აღნიშნული კანონების ცვლილებების პროექტებს, რომელთა მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ასოცირების შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანა შეთანხმებით აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით.

კანონპროექტები მიზნად ისახავენ სასაქონლო ნიშნების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების უფლებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, უფლებების ხელყოფის პრევენციის, აღკვეთისა და ადეკვატური სანქციების გატარების იმ სამართლებრივი მექანიზმების სრულად განსაზღვრას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო-სამართლებრივი კუთხით განსაკუთრებული უფლებების ეფექტურ აღსრულებას.

შესაძლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

პარლამენტში ინიცირებულია ზემოთ აღნიშნული კანონის ცვლილებების პროექტი, რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების ხელყოფის პრევენციის, აღკვეთისა და ადეკვატური სანქციების გატარების იმ სამართლებრივი მექანიზმების სრულად განსაზღვრა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ან აღნიშნული უფლებების სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს განსხვავებულ საპროცესო რეგულირებას.

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა და სარჩელის უზრუნველყოფის, ინფორმაციის მიღების და გადაწყვეტილების აღსრულების საპროცესო ღონისძიებები.

კანონპროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“

საქართველოს პარლამენტი განიხილავს აღნიშნულ ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის მიზანია დაარეგულიროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად წარმოქმნილი სამოქალაქო ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას მათივე მონაწილეობით და, რომლის დროსაც ზიანი მიადგა მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქონებას.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 30 მარტს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხზე, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა 2017 წლის 29 ივნისს (საქმე #28/3594-15).

პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ სესხის ხელშეკრულებაზე, რომელიც დადებულია ელექტრონულად. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მსესხებელი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე ხელშეკრულებას, სრულად შეავსოს და ელექტრონულად დაეთანხმოს განაცხადს, რითაც იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს წინამდებარე ხელშეკრულებას და ეთანხმება მას. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ან მის სამართალმემკვიდრეს; პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მსესხებლის მიერ ხელმოწერილი არ არის, რადგან საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, წარმოდგენილიც რომ იყოს ასეთი მტკიცებულება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე, რის გამოც სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.